



საქართველოს ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

საკორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 28 მარტი, 2022 წელი

დრო: 13:00-15:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობამე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
2. ლაშა ტულუში - ფონდი ლიბერალური აკადემია თბილისი
3. დათო ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკის განვითარების ცენტრი.
4. ნუგზარ კოხრიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
5. ქეთევან ცხაკაია - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“
6. ცირა მესხიშვილი - სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია „ტოლერანტი“
7. ირინა ფუტყარაძე - საზოგადოებრივი დამცველი

განსახილველი საკითხები:

- უკრაინელების დასახმარებლად შეგროვებული შემოწირულობა
- სხვა საკითხები

მმართველი კომიტეტის შეხვედრაზე, საკოორდინაციო საბჭომ ისაუბრა უკრაინაში მიმდინარე საომარ ვითარებაზე და რუსეთის მიერ მიმდინარე აგრესიული ომის გავლენებზე.

საქართველოს ეროვნული პლატფორმის სამდივნომ, დეტალური ინფორმაცია მიაწოდა საკოორდინაციო საბჭოს წევრებს, ამ დროისთვის პლატფორმის წევრების მხრიდან მობილიზებულ თანხებთან დაკავშირებით. მმართველმა კომიტეტმა, მსჯელობის შედეგად მიიღო გადაწყვეტილება, რომ შემოწირულობის მიღება გაგრძელდება მომდევნო 10 დღის განმავლობაშიც, რათა მაქსიმალურად მიეცეს ყველა ორგანიზაცია საშუალება ჩაერთოს უკრაინელების მხარდაჭერის პროცესში.

მეორე ჯგუფის კოორდინატორს, დავით ცისკარიძეს, აქვს მუდმივი კომუნიკაცია უკრაინის პლატფორმის წარმომადგენლებთან და მათი მხრიდან ვიღებთ კონკრეტულ ინფორმაციებს საჭიროებების შესახებ.

მმართველი კომიტეტის გადაწყვეტილებით, რეგიონში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, ყარაბაღში გართულებული პროცესების ფონზე, მნიშვნელოვანია გაფართოებული ფორმატის შეხვედრის ჩატარება, სადაც პლატფორმის წევრები იმსჯელებენ საკითხზე „ომი კავკასიაში“.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა

შეხვედრის მდივანი: ქეთევანჭურაძე

